# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

# სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის

# გურამ ოქროპირიძის

# ანგარიში

(01.11.2023-01.11.2024წწ)

# შინაარსი


შესავალი ..... 2

საკრებულოს  სხდომებში, კომისიებში, საბჭოსა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა ..... 2

საკრებულოს სხდომები ..... 2

სატრანსპორტო საკითხთა კომისია ..... 3

განათლების  და კულტურის  კომისია ..... 6

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო'' ..... 8

გენდერული თანასწორობის საბჭო ..... 9

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა ..... 10

კომისიის სხდომები ..... 11

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ..... 13

მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია ..... 17

კომისიის ინიციატივები ..... 17

ღონისძიებები და შეხვედრები ..... 20

მივლინება (ვიზიტი) ..... 22

განხილული კორესპონდენცია ..... 24

დამატებითი ინფორმაცია ..... 25

კომისიის სამდივნო ..... 25

საზოგადოებასთან ურთიერთობა ..... 25

# შესავალი

**დოკუმენტი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, გურამ ოქროპირიძის მიერ 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეულ სამუშაოს ანგარიშს.**

**კომისიის თავმჯდომარე**

**ქალაქ თბილისის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №164 განკარგულების შესაბამისად,** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

**კომისიის წევრი**

**სატრანსპორტო საკითხთა კომისიის** (2024 წლის 20 მარტამდე) **და განათლების და კულტურის კომისიის წევრი** (2024 წლის 20 მარტის ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით).

**საბჭოს წევრი**

**ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 იანვრის №03.03220281 ბრძანების** შესაბამისად, ქალაქ თბილისის **მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს** მდივანი.

**ფრაქციის წევრი**

**2021 წლის 3 დეკემბრიდან** ფრაქცია **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს** წევრი.

## საკრებულოს სხდომებში, კომისიებში, საბჭოსა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა

## საკრებულოს სხდომები

**საანგარიშო პერიოდში,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროს **24** და საკრებულოს **14** სხდომა გაიმართა, შედეგად მიღებულია **788** გადაწყვეტილება, მათ შორის **113** დადგენილება და **675** განკარგულება.

**გურამ ოქროპირიძე** დაესწრო ბიუროს **23** და საკრებულოს **13** სხდომას.

**საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:**

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ურბანული განვითარების ხელშეწყობა;

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.

**დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა 2 058 335,6** ათას ლარს შეადგენს (დამტკიცებული **1 763 354,7** ათასი ლარი).

## სატრანსპორტო საკითხთა კომისია

**საანგარიშო პერიოდში** (01.11.2023-01.03.2024) **კომისიამ ჩაატარა 7 სხდომა,** განიხილა **19 საკითხი**, აქედან **განკარგულების 1 და დადგენილების 18 პროექტი.**
**გურამ ოქროპირიძე** მონაწილეობდა კომისიის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში.

**2024 წლის ბიუჯეტიდან, ტრანსპორტის განვითარებისთვის გამოყოფილია 485,969.7 ათასი ლარი. მათ შორის:** სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები დაფინანსებულია 66,904.7 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია 9,691.4 ათასი ლარით; თბილისის ავტობუსების პარკის განახლება 118,119.9; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა 3,783.3 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია 287,470.4 ათასი ლარით.

**საანგარიშო პერიოდის განმავლობაში** სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით, აქტიურად ხორციელდებოდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გამზირების რეაბილიტაცია, მიმდინარეობს ავტო-პარკის განახლება და ახალი ავტობაზის მშენებლობა, მეტროს რეაბილიტაცია და ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის რეფორმა. მომზადდა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები.

**თბილისის ავტოპარკი:**

- დღეის მდგომარეობით, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მუნიციპალური ავტობუსების პარკი **950** ერთეული ავტობუსისგან შედგება, აქედან **722** ავტობუსი მოძრავია;
- საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო კომპანიის ავტოპარკს დაემატა **75 ერთეული - 18 მეტრიანი MAN** მარკის ავტობუსი;
- მიმდინარეობს **ახალი ავტობაზის მშენებლობა**, რომელიც 9 ჰექტარზე გაშენდება და გათვლილი იქნება 200 ერთეულ 18 მეტრიან ავტობუსებზე;
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N35-106 დადგენილების შესაბამისად M2 და M3 კატეგორიის სასკოლო ტრანსპორტს მიეცა შესაძლებლობა, რომ გადაადგილდნენ

საავტობუსო ზოლში, გარკვეული პირობებით. გადაწყვეტილება ეხება საჯარო და კერძო სკოლებს;

- **ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N43-65 დადგენილება** საავტობუსო ზოლებში მოტოციკლის ან/და მოპედის მოძრაობის პირობებს განსაზღვრავს, დადგენილება ამოქმედდა მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან;
- საანგარიშო პერიოდში M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - **58,076.113** მგზავრი.

**თბილისის მეტრო:**

- გრძელდება მეტროს მოდერნიზება, საანგარიშო პერიოდში **განხორციელდა 2 ერთეული მეტროს სათაო ვაგონის და 2 ერთეული მეტროს შუა ვაგონის საშუალო შეკეთება;**
- მიმდინარეობს მეტროსადგურ ,,ვარკეთილის" სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- **მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 108,694 ,519 მგზავრი.**

**ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა:**

- **წარმატებით მიმდინარეობს ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა, რომელიც** საანგარიშო პერიოდში აკაკი წერეთლის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე ამოქმედდა. პარკირება უფასოა შშმ პირებისთვის, ელექტროავტომობილის მფლობელებისა და „A" კატეგორიის ტაქსებისთვის. სხვა შემთხვევაში, ტარიფის ღირებულება უცვლელია და შეადგენს 1 საათი - 1 ლარს. მოქალაქეს შეუძლია, დღე-ღამის განმავლობაში, ოთხ სხვადასხვა ლოკაციაზე პირველი 15 წუთით ისარგებლოს უფასოდ;
- **საანგარიშო პერიოდში დაემატა 1623 ახალი პარკირების ადგილი,** მათ შორის **66 შ.შ.მ პირთა** პარკირებისთვის გამოყოფილი საპარკინგე ადგილი;
- **დაემატა 84 ახალი ველო პარკირების** ადგილი, **16 დისტრიბუციის პარკირების ადგილი და 16 ტაქსის პარკირების ადგილი**

**საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების გაზრდის მიზნით:**

- საანგარიშო პერიოდში დამონტაჟდა **2 658** ერთეული საგზაო ნიშანი;
- ჭკვიანი შუქნიშნების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამონტაჟდა **21** ცალი ქვეითთა შუქნიშანი და შეიცვალა შუქნიშნის **111** მოდული;

**საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები:**

- განხორციელდა სრული ქუჩების" **(complete streets)** და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გზების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების (372502.8 კვ.მ. არეალზე), სამარშრუტო სატრანსპორტო

საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლების, მოდელირებისა (42 კვანძისთვის ) და ტოპოგრაფიული გეგმის (621707.61 კვ.მ. არეალისთვის) შედგენა;

- **მომზადდა აღმაშენებლის ხეივნის,** ვაჟა-ფშაველა-ქავთარაძე-ყაზბეგის კვეთა, ვაშლიჯვრის, თავდადებულის, გორგასლის, ცინცაძე-გამრეკელის ქუჩების, წყნეთის გზატკეცილის მოდელირებები;
- მომზადდა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები **38** პრობლემური კვანძისთვის, **22** ქუჩისა და **4** მოედნისთვის.
- მიმდინარეობს ავლაბრის, გრიბოედოვის, ენდელაძის და გმირთა მოედნების მოძრაობის სქემების მომზადება.

## დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები

- **წერეთლის გამზირის სრული რეაბილიტაცია 2024 წლის** გაზაფხულზე დასრულდა. პროექტის ფარგლებში ქვეითთა გადაადგილებისთვის მოეწყო უსაფრთხოების კუნძულები, დაიხაზა ზებრა გადასასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის კი გამოიყო შესაბამისი სამოძრაო ზოლი. გარდა ამისა, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები, გამზირზე არსებული ინფრასტრუქტურა კი, ადაპტირდა შშმ პირებისთვის;
- საანგარიშო პერიოდში დასრულდა **უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაცია.** პროექტის პირველ ეტაპზე, მთლიანად შეიცვალა და განახლდა მიწისქვეშა კომუნიკაციები. 1 600 მეტრის სიგრძის გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო ტროტუარი და გარე განათების ქსელი. დამონტაჟდა ახალი LED ლამპიონები, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზები მიწისქვეშ განთავსდა. ტერიტორიაზე ასევე, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები და ქუჩაზე არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდა შშმ პირებისთვის;
- დასრულდა **ბაგების დასახლებისა და უნივერსიტეტის** ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო **ხიდის მშენებლობა;**
- **დასრულდა წყნეთის გზატკეცილის სრული რეაბილიტაცია.** სარეაბილიტაციო სამუშაოები წყნეთის გზატკეცილიდან ბაგების დასახლების ახალ საავტომობილო ხიდამდე განხორციელდა. პროექტის ფარგლებში, სრულად შეიცვალა ყველა ტიპის მიწისქვეშა კომუნიკაცია, მოეწყო ახალი სანიაღვრე ქსელი, გარკვეულ მონაკვეთებში გზის სავალი ნაწილი გაგანიერდა, უსაფრთხოებისთვის რკინაბეტონის ფერდის დამცავი კედლები აშენდა, ასევე, არსებული ტროტუარები რეაბილიტირდა, ხოლო სადაც არ არსებობდა, ახალი ტროტუარები მოეწყო;
- **იწყება სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი - უნივერსიტეტისა და ქავთარაძის ქუჩების** დამაკავშირებელი გზის და გვირაბის მშენებლობა. პროექტის ღირებულება **12 მლნ. ლარია.** სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყება და 2025 წლის იანვარში დასრულდება;
- **გაიხსნა რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზა. საბაგირო გზის რეაბილიტაცია 2021 წელს დაიწყო და მისი** ჯამური ღირებულება შეადგენდა 50 მლნ ლარს, მგზავრებს 21 ერთეული 8-კაციანი გონდოლა მოემსახურება და

მანძილს 4 წუთში დაფარავს. საბაგირო გზა ერთი მიმართულებით, საათში 1200 მგზავრის გადაყვანას უზრუნველყოფს.

## განათლების და კულტურის კომისია

**გურამ ოქროპირიძის წევრობის პერიოდში** (20.03.2024-01.11.2024) კომისიამ ჩაატარა **9** სხდომა, განხილულია **11 საკითხი, აქედან განკარგულების 1 და დადგენილების 4 პროექტი,** ასევე, **4** სხვადასხვა საკითხი და მოისმინა **2 ანგარიში.** მათ შორის:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში“ ცვლილების შეტანა;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/ აღდგენის/ რესტავრაციის/ რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესში“ ცვლილების შეტანა;
- მემორიალური დაფების განთავსება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

**და სხვა.**

**გურამ ოქროპირიძე** მონაწილეობდა კომისიის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში.

**ქალაქ თბილისის 2024 წლის ბიუჯეტით განათლების და კულტურის მიმართულების პროგრამები დაფინანსდა 306,241.8 ათასი ლარით,** განათლება **280,851.6** ათასი ლარი და კულტურა **25,390.2** ათასი ლარი.

### კულტურა

- **კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის** ფარგლებში დაფინანსდა სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულები და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის **300-მდე** პროექტი;
- **ასევე, "შემოქმედებითი თბილისი"-ს** პროგრამის მიმართულებით დაფინანსდა **300-მდე პროექტი;**
- **ხოლო "ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის"** პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდისათვის, განხორციელდა 120-ზე მეტი პროექტი;

- **დაფუძნდა თბილისის საჯარო ხელოვნების ფონდი,** მას ჰყავს კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, რომელ ლოკაციაზე, რომელი ინსტალაციის განთავსებაა მიზანშეწონილი;
- დედაქალაქის სტუმრებისთვის ძალიან კარგი პროექტი განხორციელდა კომპანია **„სილქნეტისა“ და SOLARTIA GROUP-ის პარტნიორობით. პროექტის სახელწოდებაა „დაასკანერე თბილისი“** და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე განთავსებული QR კოდების საშუალებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აწვდის საინტერესო ინფორმაციას აღნიშნული ძეგლების შესახებ, ქართულ და ინგლისურ ენაზე. ჯამში, კულტურული მემკვიდრეობის **187 ძეგლზე განთავსდა QR-კოდი და მომზადდა შესაბამისი ინფორმაცია.**

## კულტურის ობიექტების განვითარება

- **დასრულდა** ქ. თბილისი, ზღვისუბანი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო/რაიონი, მე-3 კვარტლის მიმდებარედ, **მედიათეკის** სივრცისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის მშენებლობა;
- დასრულდა ქ. თბილისი, ორხევი, სოსო აბზიანიძის ქუჩა N6, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის **ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლის“ სარემონტო**-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- განხორციელდა ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N42, **საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონის გალავნის სარეაბილიტაციო სამუშაოები**;
- **მიმდინარეობს** ქ. თბილისი, ზანდუკელის ქუჩა N1, ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულში შემავალი **მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის სარემონტო-სარეაბილიტაციო** სამუშაოები;
- **დედაქალაქის მასშტაბით** 188 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო სერვისებით სარგებლობს **62 000** აღსაზრდელი. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ბაღების განახლების პროექტი, რომლის ფარგლებში, მასშტაბური სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა თბილისის **8** საბავშვო ბაღში.

## განათლება

- **“პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობის”** ფარგლებში წარმატებით ხორციელდება პროექტი **„ისწავლე და დასაქმდი“, პროგრამის** ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში (გაზაფხული-შემოდგომა) დაფინანსდა - თბილისში რეგისტრირებული სამსახურის მაძიებელი **1 800** მოქალაქე, რომლებმაც **65** პროფესიულ სპეციალობაში გადამზადების კურსი გაიარა. პროგრამას ახალი მიმართულებები დაემატა მათ შორის: დეკორატიული ლესვა, შრომის უსაფრთხოება, IT ინჟინერია, ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიები. დაინტერესებული მოქალაქეები რეგისტრაციას გადიან

პლატფორმაზე **www.dasakmdi.ge**. **10 000-მდე** მოქალაქე უკვე გადამზადდა, ხოლო მათი დასაქმების მაჩვენებელი, დაახლოებით, 70% ;

- **"ზოგადი განათლების და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია პროექტები:** ა(ა)იპ „მირაბალდები"-„26 მაისის ქალები სკოლებში", სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"- „პროფესიის არჩევა - გამოწვევები და შესაძლებლობები", ა(ა)იპ „არტსკოლა"-პროექტი „არტსკოლა", სსიპ „ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლა", „საზაფხულო სკოლა „ლიდერი";

- "**უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობის" პროგრამისთვის გამოყოფილი იყო 85,0 ათასი ლარი,** რომელიც მოხმარდა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას: „ინკლუზიური ცნობიერების ამაღლების ტრენინგები მომავალი ფსიქოლოგებისთვის", "საერთაშორისო ზამთრის სკოლა მიგრაციისა და ლტოლვილთა სამართლის შესახებ", „TAD Week - თბილისის არქიტექტურისა და დიზაინის კვირეული";

- **"იურიდიული კლინიკის"** ფარგლებში ა(ა)იპ-მა „ჩემი ადვოკატი" **162 სტუდენტი გადაამზადა;** უფასო სამართლებრივი დახმარების მიმართულებით, წლის განმავლობაში განხორციელდა **10 975 მომართვა**; ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია **4 260 მოქალაქეს;**

- **"სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის" ფარგლებში** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა **1418 სოციალურად დაუცველი სტუდენტი,** მათ შორის 896 ქალი, 522 კაცი; **ხოლო მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ 494 სტუდენტი,** მათ შორის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი ქალი -317, შშმ ქალი - 18; მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი კაცი -137; შშმ სტუდენტი კაცი - 22; **393 წარმატებულმა მაგისტრანტმა** მიიღო ფინანსური წახალისება, მათ შორის ქალი - 275; კაცი -118.

- **"ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე**" დაფინანსებულია **2 719, 4** ათასი ლარით. ეროვნულ სასახლეში დარეგისტრირებულია **2825** ბენეფიციარი. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია **295 ღონისძიება**. 2024 წლის აპრილისთვის განახლდა პირველი შენობის მე-3 სართულის სასწავლო ოთახები, დაემატა მედიათეკის, საკონფერენციო და მუზეუმის საგალერიო სივრცეები.

## ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია **,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს''** ჩატარებული აქვს **19 სხდომა,** განხილულია **43 საკითხი.**

**გურამ ოქროპირიძე** დაესწრო **18** სხდომას და  განიხილა **40** საკითხი.

## გენდერული თანასწორობის საბჭო

**საანგარიშო პერიოდში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს** ინიციატივითა და ჩართულობით, არაერთი აქტივობა/ღონისძიება გაიმართა.

**საბჭოს ინიციატივები:**

- თბილისის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი“** რომელიც არეგულირებს დედაქალაქის საკრებულოსა და მერიაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხებსა და პროცედურებს. დოკუმენტი საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით მომზადდა. ზემოაღნიშნულ სამართლებრივ მექანიზმთან დაკავშირებით საბჭოს წევრთა ჩართულობით, სხვადასხვა დროს, არაერთი სამუშაო შეხვედრა და  ტრენინგი ჩატარდა.
- საბჭოს ინიციატივითა და USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მხარდაჭერით დაიწყო თბილისის  საკრებულოს თანამონაწილეობით **გენდერული აუდიტის მზადების პროცესი**.

**საანგარიშო პერიოდში, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და ჩართულობით გაფორმდა მემორანდუმები და  განხორციელდა სხვადასხვა  ღონისძიება/აქტივობა, მათ შორის:**

- საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის **მემორანდუმი საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას -  „მერსი ქორფს“ - ის წარმომადგენლობა  საქართველოში - შორის,  ზემოხსენებული ორგანიზაციის პროგრამის „უსაფრთხო ონლაინი - ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში“** ფარგლებში;
- საბჭო აქტიურად აგრძელებდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობას, რომლის ფარგლებში  **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.** მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა,  მათ შორის, აფხაზეთიდან დევნილი ქალი მეწარმეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა და პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით;
- საბჭოს მიერ საანგარიშო წელს ინიცირებულ აქტივობებს შორის  შორის აღსანიშნავია კამპანია **„არა ქალზე ძალადობას“** რომლითაც საბჭო, ნოემბრის თვეში, ტრადიციულად უერთდება გენდერული  ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან საერთაშორისო კამპანიას;

- გრძელდება საინფორმაციო კამპანია **"შენი სიცოცხლე შენს ხელშია“,** რომლის მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდაა;
- ოქტომბრის თვეში საბჭო ჩაერთო ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო კამპანიაში **„ვარდისფერი ოქტომბერი“.** ასევე დედაქალაქის საკრებულომ კამპანიის „ვარდისფერი ოქტომბერი“ ფარგლებში ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა და ხელოვანთა მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა და ფერწერული ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენას უმასპინძლა.
- **პროფესიულ განათლებასა და კარიერულ განვითარებაში** ქალთა და კაცთა როლებთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის ხელშეწყობისათვის, საბჭოს ინიციატივით, გაიმართა ღონისძიება **„ქალთა იშვიათი პროფესიები“,** რომლის მიზანია იშვიათი პროფესიების ქალთა პროფესიული არჩევანის წახალისება და აღნიშნული სპეციალობების პოპულარიზაცია.

## სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა

**კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება:**

- ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- დედაქალაქში ახალგაზრდული, კულტურულ-სპორტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ახალგაზრდებისთვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას;
- დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდას, სპორტული და ტურისტული პროგრამების შემუშავებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
- ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას;
- დედაქალაქში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერას.

**კომისიის საქმიანობას ასევე განეკუთვნება შემდეგი საკითხები:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგი;
- მოქალაქეების მიღება და მათთვის კონსულტაციის გაწევა;
- დედაქალაქში არსებული და მშენებარე სპორტული ობიექტების მონიტორინგი;
- სამინისტროებთან, კომიტეტებთან, მუნიციპალიტეტებთან, რაიონულ გამგეობებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ფედერაციებთან და სხვა პირებთან რეგულარული კომუნიკაცია და დარგობრივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;

- დედაქალაქის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან შეხვედრები, მათ რაიონებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების დადგენისა და ინიციატივების მოსმენის მიზნით;
- სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- კომისიის სხდომების ორგანიზება, დასკვნების და ოქმების მომზადება;
- გამგეობებისა და საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიშების მოსმენა;
- დარგობრივი ტენდერების მონიტორინგი;
- კომისიაში შემოსულ კორესპონდენციაზე შესაბამისი რეაგირება;
- კომისიის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობა;
- დელეგაციების წევრობა და პროექტებში მონაწილეობა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სპორტული და ახალგაზრდული იურიდიული პირების მონახულება და მათი საქმიანობის გაცნობა;
- საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება;
- სხვადასხვა კალენდარული ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმვა;
- წარმატებული სპორტსმენების წახალისება;
- საზღვარგარეთის ქალაქებთან, მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობების დამყარება და პარტნიორ ქალაქებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობა: გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე) **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), **ანა კილაძე** (კომისიის წევრი) **თორნიკე ბიკაშვილი** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

## კომისიის სხდომები

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში გამართა 16** სხდომა და განიხილა **20** საკითხი, მათ შორის: **3** განკარგულების და **11** დადგენილების პროექტი, ასევე მოისმინა ანგარიშები და ჩაატარა გასვლითი სხდომები.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,** კომისიის მიერ მომზადებულია **24** სამართლებრივი დასკვნა და **16** კომისიის სხდომის ოქმი.

**საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა შემდეგი საკითხები:**

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2024 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, 2024 წლის ბიუჯეტით **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** და **ახალგაზრდული ღონისძიებების** პროგრამებისთვის გამოიყო **16 916 ,7** ათასი ლარი, ცვლილებების შედეგად პროგრამების ბიუჯეტი გაიზარდა და **40 497,1** ათას ლარით დაფინანსდა;

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- **საკრებულოს N650 განკარგულებით** ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. N7/1-ში არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.627.01.502) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - **საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციას** (ს/ნ:204892777) **უსასყიდლო, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაეცა**. უზუფრუქტის ვადად 50 წელი განისაზღვრა. ფედერაციამ აიღო ვალდებულება, რომ 3 წლის განმავლობაში 100 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს. სპორტული ობიექტი გარემონტდება და აღიჭურვება ინვენტარით;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან **წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი,** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- **საკრებულოს N117 განკარგულებით**, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N15-ში, მე-6 სართულზე არსებული **2449.77 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ. ფართი, პირდაპირი განკარგვის წესით, ააიპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციას** (ს/ნ: 204889282) უსასყიდლო, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა. **ფედერაცია უზრუნველყოფს 30 წლის ვადით სპორტული ობიექტისთვის პროფილის შენარჩუნებას** და ობიექტის განვითარებას;
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის** შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა **საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის **„სპორტი უფროსი თაობისთვის“** (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს **N13-76 დადგენილებაში** ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- **და სხვა.**

**კომისიის სხდომების ფარგლებში:**

- **მოისმინა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა **საქალაქო სამსახურის მიერ, 2024 წელს დაგეგმილი პროექტების** შესახებ ინფორმაცია;
- **გასვლითი სხდომის ფარგლებში კომისიამ** ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის, სტრუქტურული ერთეულის, **დიდი დიღმის მულტიფუნქციური კომპლექსის დასრულებული სამშენებლო** სამუშაოების მოინახულა და მიმდინარე აღჭურვის პროცესის შესახებ ინფორმაცია მოისმინა;
- მოისმინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა **საქალაქო სამსახურის** მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, **ანგარიში** (საანგარიშო პერიოდი, 2024 წლის I-ლი კვარტალი);
- გასვლითი სხდომა, ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში **არჩილ მეფის ქუჩა #2-ში** მდებარე სპორტული ცენტრის **სამშენებლო სამუშაოების მონახულება** და მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
- ა(ა)იპ ქალაქ თბილისის **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მონახულება** და ცენტრის სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დაფუძნებული **„ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი** -ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ შესახებ **ინფორმაციის მოსმენა.**

**ასევე, საკრებულოს მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებები:**

- **საკრებულოს N76 განკარგულებით** (20.02.2024წ.), ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას სახელი მიენიჭა;
- **ასევე, საკრებულოს N 484 განკარგულებით** (13.09.2024წ.), გლდანის რაიონში ნუგზარ კალანდაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მოჭიდავის გიორგი ოდიშვილის სახელი მიენიჭა;

**და სხვა.**

**კომისიის სხდომები საჯაროა და მასზე დასწრების უფლება ყველა მოქალაქეს აქვს.**

## კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

**ქალაქ თბილისის 2024 წლის ბიუჯეტით სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამები დაფინანსებულია 40, 497.1 ათასი ლარით,** სპორტის განვითარების ხელშეწყობა **35, 668.1** ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებები **4,829.0** ათასი ლარი.

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა:**

- **საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა** თბილისის **35** სპორტული ფედერაცია და საქართველოს **41** სპორტული ფედერაცია. სულ დაფინანსდა **191** პროექტი, განხორციელებულ პროექტებში **მონაწილეობა მიიღო 70 592 ბენეფიციარმა** (მ.შ **48 004** კაცმა, **22 588** ქალმა);
- თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, **განხორციელდა 36 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, ინვენტარით და ეკიპირებით ისარგებლებს 5 709 ბენეფიციარი** (მ.შ. **3 604** კაცი, **2 105** ქალი).
- **2024 წელს დაჯილდოვდა 2023 წელს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის 115 თბილისელი სპორტსმენი** (მ.შ. **89** კაცი, **26** ქალი), ასევე **დაჯილდოვდა** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის **4 ქალთა გუნდი;**
- **მწვრთნელთა მხარდაჭერის ფარგლებში,** ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის, თვეში **350 მწვრთნელ** - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის **49** სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს;
- **სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია** - საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქალაქ თბილისის მასშტაბით ღია ტიპის **სკეიტ-მოედნების სამშენებლო სამუშაოები (ვაზისუბნის დასახლება, დიდი დიღომის IV მკ/რ);** ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე **სამი პადელის მოედნის და ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედნის მოწყობის** სამუშაოები;
- **წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება**-საანგარიშო პერიოდში სპორტის **32** სახეობაში 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული **260-მდე წარმატებული სპორტსმენი მოზარდი** წახალისდა;
- **პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა** - საანგარიშო პერიოდში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული იყო **243 შშმ პირი და 18 მწვრთნელი.** 2024 წლის დასაწყისიდან **საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა მიღებული აქვს 12 პარასპორტსმენს (მ.შ 6 ქალი, 6 კაცი). ცენტრში ვითარდება 13 პარასპორტული სახეობა;**
- გრძელდება პროგრამა, **„სპორტი უფროსი თაობისთვის"** სადაც მუნიციპალურ სპორტულ ობიექტებთან ერთად კერძო სექტორიც არის ჩართული (არენა), ამ ეტაპზე პროგრამით **600-მდე** ბენეფიციარი სარგებლობს.
- გრძელდება ფიზიკური დატვირთვების სკრინინგის პროგრამა;

**სპორტული დაწესებულებების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის ფარგლებში:**

- **მომდინარეობს, ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ,** კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან **მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები;**
- **ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში სპორტული** კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები;

- **მომზადდა,** ქალაქ თბილისში, **გუმათჰესის ქ. N1-ის (ს/კ 01.19.23.013.071) მიმდებარედ სპორტული კომპლექსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;**
- **ასევე, ქ. თბილისში, დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში** (ს/კ 01.13.03.041.038; 01.13.03.041.037) მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- **რეაბილიტაცია ჩაუტარდა,** ა(ა)იპ **"ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის"** სტრუქტურული ერთეულის **ნაძალადევის სპორტული კომპლექს**.

**საანგარიშო პერიოდში დასრულდა:**

- **დიდ დიღომში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა,** კომპლექსი სრულადაა აღჭურვილი თანამედროვე სტანდარტების უახლესი ინვენტარითა და ტექნიკით. მისი გამტარუნარიანობა 10 000-მდე ბენეფიციარს აღწევს. კომპლექსში განთავსებულია: საცურაო აუზები, ფიტნესის, კალათბურთის, ფრენბურთის, საბრძოლო სპორტის და ტანვარჯიშის დარბაზები, მედიათეკა, სპორტული რეაბილიტაციის ცენტრი, მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი და სხვა სივრცეები.
- ასევე, დასრულდა **მთაწმინდის რაიონში, ლადო ასათიანის 50- ში** ახალი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მრავალფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობა. ცენტრში განთავსებულია სპორტული დარბაზი კალათბურთის და ფრენბურთისთვის, აგრეთვე სატრენაჟორო და ფიტნეს დარბაზები, საშხაპეები და გასახდელები.

**ახალგაზრდული მიმართულებით დაფინანსებული პროექტები:**

- საანგარიშო პერიოდში, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის **მიზნით ყოველწლიურად ტარდება საინტერესო მასშტაბურ საზაფხულო ღონისძიებები ახალგაზრდებისთვის.** 2024 პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა სპორტული აქტივობები ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ტირით სროლაში, ბილიარდსა და კარტინგში, აგრეთვე ლაშქრობები თბილისის გარშემო. 2024 წელს, ტრადიციულ აქტივობებთან ერთად განხორციელდა პროგრამირების ბანაკი, სადაც ახალგაზრდებმა შეისწავლეს WORD PRESS პროგრამირების ენით საიტის შექმნა და მართვა, ინგლისური ენის ბანაკი, კიბერ სპორტის ბანაკი, ბანაკი ხელოვნური ინტელექტის თემატიკაზე, ბანაკი სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდა ინოვატორთა ბანაკი, ახალგაზრდა მოხალისეთა ბანაკი, თეატრალური და კინოხელოვნების ბანაკები, გაცვლითი ბანაკი-ფრანგი და ქართველი ბავშვების ჩართულობით და ახალგაზრდა სპორტსმენების საზაფხულო პროფესიული შეკრებები. პროგრამის მონაწილეთათვის უზრუნველყოფილი იყო ტრანსპორტირება, კვება, ეკიპირება და კვალიფიციური ინსტრუქტორების მომსახურება. **2024 წლის საზაფხულო ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობდა 5000-მდე ახალგაზრდა;**
- **ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების** ფარგლებში დაფინანსება **16 ახალგაზრდული ორგანიზაცია;**

- **ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“** მოსწავლეთა აღზრდისა და დამატებითი განათლების მულტიფუნქციური დაწესებულებაა. იგი ახორციელებს სოციალურ და კულტურულ–საგანმანათლებლო პროგრამებს. თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი აერთიანებს **9** ფილიალს, რომლის **42** დასახელების წრესა და სტუდიაში ირიცხება **3500**-ზე მეტი მოსწავლე. საანგარიშო პერიოდში დასრულდა **სამგორის ფილიალში ინფრასტრუქტურის** სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო მცირე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთის და ისნის ფილიალებში.

**თბილისის მერია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მოზარდებისთვის აფინანსებს შემდეგ პროგრამებს:**

- პროგრამის **„სოციალურად დაუცველი და სხვა კატეგორიის მოსახლეობის სერვისების (დახმარების)“** ფარგლებში გაერთიანებულია **1740 ბენეფიციარი.** ასევე, პროგრამის **„თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსება (წახალისება)“**- ფარგლებში საგნობრივი მიმართულების წრეებში - **130 მოსწავლე,** დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ფუნქციონირებს **32 სახელოვნებო სკოლა. თვეში საშუალოდ 2 575 სოციალურად დაუცველი მოსწავლე სრულიად უფასოდ სწავლობს.**
- პროგრამის **„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“** ფარგლებში 18 წლამდე ასაკის **1 760** ბავშვს სწავლების ღირებულება უფინანსდება ცურვის, ტანვარჯიშის, და ფეხბურთის სახეობებში.
- **გრძელდება მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროგრამა,** პროგრამის ბენეფიციარები არიან თბილისში რეგისტრირებული 18 წლიდან 21 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც სრულწლოვანების ასაკამდე ბოლო ერთი წელი თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარები იყვნენ და 18 წლის შესრულების გამო დატოვეს ის და საცხოვრისს საჭიროებენ. მათზე გაიცემა სოციალური დახმარება, ვაუჩერის სახით, ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისათვის შეადგენს 500 ლარს.

**პროგრამებით ყოველწლიურად 6, 000 -ათასზე მეტი ბავშვი და მოზარდი სარგებლობს.**

**ახალგაზრდული და სპორტული ცენტრები და პროგრამები:**

- ელექტრონული პლატფორმა **youthtbilisi.ge- ვებ- საანგარიშო** პერიოდის განმავლობაში საიტზე დარეგისტრირდა 11 ორგანიზაცია და 1580-ზე მეტი მოხალისე, რომელიც ჩაერთო საიტზე განთავსებულ **16** პროექტში;
- **ევროპის ახალგაზრდული ბარათი** (EYCA) - ბარათის პროგრამის განვითარებისათვის მოხდა ელექტრონული პლატფორმების, ვებ-საიტისა და მობილური აპლიკაციის დეველოპმენტის დასრულება, ამასთან პლატფორმების რეალურ გარემოში განთავსება და ტესტირება თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის გუნდის მიერ;

- ევროდესკი **„თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი“** ახორციელებს ევროდესკის პროგრამის იმპლემენტაციას საქართველოში, ქართველი ახალგაზრდებისთვის ევროპული შესაძლებლობების ფართო სპექტრის შეთავაზების მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში, პროექტის **„მერიასთან ერთად,“** ფარგლებში მოხდა, როგორც ცენტრის მიერ ორგანიზებული, ასევე ქ. თბილისში მოქმედი სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით გამართული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტის მომსახურებით ისარგებლა **2800**-მდე ბენეფიციარმა.

  **და სხვა.**

**საანგარიშო პერიოდში რაიონული გამგეობების მიერ კეთილმოწყობის ღონისძიებების,** სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში განხორციელდა **39** სპორტული მოედნის შეკეთება/რეაბილიტაცია და **3** ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა. ასევე, **9 გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების მონტაჟი, აქედან 2 გარე გამოყენების სავარჯიშო აღჭურვილობის (workout) თანამედროვე კომპლექტის მონტაჟი.**

**კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში რაიონებში** სულ მოეწყო **61** ღონისძიება, აქედან სპორტული - **21**, კულტურული - 40.

## მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია

**საანგარიშო პერიოდში გაიმართა** კომისიის **21** სხდომა. სულ სპორტის, ახალგაზრდობის და განათლების მიმართულებით განხილულია **380** პროექტი, აქედან **255** სპორტული, საგანმანათლებლო **64** და ახალგაზრდული **27**. ღონისძიებებში მონაწილეობა **მიიღო 38 990-ზე მეტმა ბენეფიციარმა, განხორციელებულ პროექტებზე კი 7 456 749 ათასი ლარი დაიხარჯა.**

**გურამ ოქროპირიძე მონაწილეობდა კომისიის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში.**

## კომისიის ინიციატივები

### ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი

**2024 წლის 12 აგვისტოს,** ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქალაქ რუსთავის **„ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი - ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“** გაიმართა. ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით 2018 წელს დაფუძნდა და წელს მეოთხედ ჩატარდა.

ფორუმის განსახილველ საკითხებს შორის იყო: 2023-2026 წლებისთვის სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგიის განხორციელებაში ადგილობრივი ხელისუფლების როლის

გაძლიერება; ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა: სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა და უნარების განვითარება; ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერება.

**ფორუმის მონაწილე 64-ვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს პანელურ დისკუსიებში,** დასასრულს ფორუმის დელეგატებმა კენჭისყრით მიიღეს **რეზოლუცია,** რომელიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისთვის ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით.

ფორუმში დელეგატებთან ერთად, ცენტრალური და ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები, ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და რუსთაველი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, ჯამში **500**-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა.

## სასკოლო ლიგა 2023-2024

**თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით**, თბილისის მერიის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოს ბანკის მხარდაჭერით და ა(ა)იპ სპორტის მართვის ასოციაციის ორგანიზებით, ,,სასკოლო ლიგა 2024'' კიდევ უფრო გაზრდილი მასშტაბით, სპორტის **15** სახეობაში გაიმართა და თბილისის გარდა ქვემო ქართლის, იმერეთის, კახეთის და აჭარის ჯამში **500 სკოლის 14 000-ზე მეტი მოსწავლე** ჩაერთო.

აღსანიშნავია, რომ მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგის ბაზაზე შეიქმნა ფუტსალის პროფესიონალური კლუბი, ასევე ფუტსალის ასაკობრივი ეროვნული ნაკრებები სასკოლო ლიგის აკადემიის მონაწილე ახალგაზრდებით დაკომპლექტდა.

**პროექტის მიზანია,** მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

**საანგარიშო პერიოდში, კომისიის მხარდაჭერით** ,,სასკოლო ლიგასა" და ,,საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციას" შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის საფუძველზე, „სასკოლო ლიგა" საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ეგიდით გაიმართება და მოხდება მისი ინტეგრაცია ეროვნული ფედერაციის შესაბამის პროგრამებში.

### ,,სასკოლო ლიგის" განვითარების სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია და ,,თბილისის სასკოლო ლიგის" 2023-2024 წწ. გამარჯვებულთა დაჯილდოება

საკრებულოში სპორტული პროგრამა **,,სასკოლო ლიგის"** განვითარების სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია და ,,თბილისის სასკოლო ლიგის" 2023-2024 წწ. გამარჯვებულთა ტრადიციული

დაჯილდოება გაიმართა. ღონისძიება თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით და სპორტის მართვის ასოციაციის ორგანიზებით მოეწყო.

სასკოლო ლიგის განვითარების სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი 2023 წელს შეიქმნა. სტრატეგია, რომლის მიხედვით, სპორტის 20-ზე მეტ სახეობაში ერთი ელექტრონული პლატფორმის ქვეშ გაერთიანებულ სასკოლო ტურნირებში ყოველწლიურად 100 000 მოსწავლე ჩაერთვება, ხუთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების სამოქმედო გეგმას მოიცავს.

პრეზენტაციაზე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ახალგაზრდა სპორტსმენები „სასკოლო ლიგაში“ აქტიური ჩართულობისთვის და მის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დიპლომებითა და მადლობის სიგელებით თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გურამ ოქროპირიძემ, საკრებულოსა და საქართველოს პარლამენტის წევრებთან ერთად დააჯილდოვა.

## კამპანია ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში''

- საანგარიშო პერიოდში, **2023 წელს წარმატებული პარასპორტსმენების,** მათი მწვრთნელების და პარაოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლების მიღება გაიმართა. 2023 წელს მსოფლიოს, და ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე მსოფლიო თასებზე და სხვა მაღალი რანგის ტურნირებზე ქართველმა პარასპორტსმენებმა 50-ზე მეტი მედალი მოიპოვეს.

**კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში'' ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების ჩართულობით ღონისძიებები რეგულარულად ტარდება.**

## კამპანია ,,სტუდენტები თბილისის საკრებულოში''

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, წარმომადგენლობით ორგანოში კამპანიის ,,სტუდენტები თბილისის საკრებულოში'' ფარგლებში, 10-ზე მეტი შეხვედრა გაიმართა, შეხვედრების ფარგლებში კომისიამ უმასპინძლა:** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს, საქართველოს სტუდენტურ პარლამენტს, საქართველოს სტუდენტურ ასოციაციას და სხვა.

**კამპანიის „სტუდენტები თბილისის საკრებულოში“ მიზანი** სტუდენტების ცნობიერების ამაღლება და მუნიციპალიტეტის საქმიანობის, პრიორიტეტებისა და ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი სერვისების მიმართულებით ინფორმირებულობის გაზრდაა. **შეხვედრა კამპანიურ ხასიათს ატარებს და პერმანენტულად იმართება.**

**მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი**

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში **8 სპორტული** და **ახალგაზრდული** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რომლებიც აერთიანებს **20 სტრუქტურულ** ერთეულს, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. მათი საქმიანობის გაცნობას და მონიტორინგს კომისია პერიოდულად ახორციელებდა.

**გასვლითი შეხვედრა/მონიტორინგის ფარგლებში** კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტების მუშაობის პროცესს, სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ინვენტარით აღჭურვასა და სხვა აქტივობებს ეცნობოდა.

**საანგარიშო პერიოდში კომისიამ მოინახულა: სამგორის რაიონში, დიდი ლილოს სპორტული ცენტრი და** ადგილზე გაეცნო სამშენებლო სამუშაოებს. **ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალი,** ობიექტის სრული სარეაბილიტაციო-სარემონტო, მათ შორის გამაგრებით სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდა, ასევე კომისია ადგილზე გაეცნო **ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მთაწმინდის ფილიალის და .დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრ**ის დასრულებულ სამშენებლო სამუშაოებს.

**საანგარიშო პერიოდში არაერთი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა სპორტისა და ახალგაზრდობის სექტორის წარმომადგენლებთან, მათ შორის:**

**სამუშაო შეხვედრა თბილისის რაიონულ გამგეობებთან**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გურამ ოქროპირიძემ, თბილისის რაიონული გამგეობების კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებების ხელმძღვანელ პირებთან **სამუშაო შეხვედრა** გამართა.

თბილისის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე რაიონული გამგეობების მიერ 2024 წელს განსახორციელებელ ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს.

**სამუშაო შეხვედრა Erasmus Student Network Azerbaijan-ის ახალგაზრდა მუშაკებთან**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გურამ ოქროპირიძემ Erasmus Student Network-ის წევრი ქვეყნის, Erasmus Student Network Azerbaijan-ის ახალგაზრდა მუშაკებს სამუშაო შეხვედრის ფორმატში უმასპინძლა.

შეხვედრაზე საკრებულოს წევრმა სტუმრებს თბილისის საკრებულოსა და დედაქალაქის მერიის მუშაობის სპეციფიკა გააცნო და განხორციელებულ თუ დაგეგმილ მნიშვნელოვან ახალგაზრდულ პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია. **ორგანიზაციის მთავარი მისია**

საერთაშორისო სტუდენტების ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობაა პრინციპით „სტუდენტები ეხმარებიან სტუდენტებს“, აგრეთვე „ერასმუს პლიუსის“ აკადემიური გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ქართველი სტუდენტების ხელშეწყობა საერთაშორისო მობილობაში.

**სამუშაო შეხვედრა სატრანსპორტო თემატიკაზე**

გურამ ოქროპირიძემ სატრანსპორტო კომისიის სამუშაო შეხვედრას დაესწრო, რომელსაც საკრებულოს წევრებთან ერთად სსიპ ,,ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ისეთი საკითხების მნიშვნელობაზე ისაუბრეს, როგორიცაა: ველობილიკების და ტროტუარების უწყვეტი ქსელის მოწყობა; დაცული ველოპარკინგები; „თბილისის ველოსიპედის გენერალური გეგმის“ შესრულება, რაც გულისხმობს ტროტუარების უწყვეტი ქსელის არსებობას და ასევე მეტროსადგურებთან დაცული ველო პარკინგების შექმნას და სხვა.

**ახალგაზრდულ საქმეთა საკონსულტაციო საბჭოს სხდომა**

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული ახალგაზრდულ საქმეთა საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა, რომლის წევრი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე გახდა.

საბჭო სათათბირო ორგანოა, რომელიც კომიტეტს ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობაში, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებაში, მათზე რეაგირების მექანიზმების დაგეგმვასა და ცალკეული ინიციატივების ანალიზში ეხმარება. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში პარლამენტის წევრები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები შედიან.

## საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში/ ფორუმებში/ ასამბლეებში მონაწილეობა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, მონაწილეობდა სხვადასხვა ფორუმსა თუ ასამბლეაში და ასევე, მასპინძლობდა მათ დელეგაციებს.

**ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმი**

თბილისში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმი სახელწოდებით - **„ჯანსაღი ქალაქი - მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოქნილი და მდგრადი ურბანული**

**განვითარება“** გაიმართა, რომელშიც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, გურამ ოქროპირიძემ მიიღო მონაწილეობა.

ფორუმზე კომისიის თავმჯდომარემ სპორტისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების მასშტაბებსა და ეფექტურობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმი 2007 წლიდან ჩამოყალიბდა მოწინავე იდეების გაცვლისა და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღების პლატფორმად, რომლის ფარგლებშიც ქალაქი ყოველწლიურად მასპინძლობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონის სპიკერებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, მუნიციპალიტეტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს.

**შეხვედრა ევროპის საბჭოს წარმომადგენლებთან**

ევროპის საბჭოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდრეას კიფერი და ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის ყოფილი პრეზიდენტი ანდრეს კნაპე თბილისში, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა, საუბარი ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობას, ევროპულ ტრადიციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას შეეხო. უცხოელმა სტუმრებმა ქართველ სტუდენტებს ამ მიმართულებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

## ღონისძიებები და შეხვედრები

**გურამ ოქროპირიძე მუდმივად ესწრებოდა საკრებულოს, მერიის, რაიონული გამგეობების, სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, შეხვედრებსა და სხვადასხვა სახის ცერემონიებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ის მსგავსი ტიპის 50-მდე შეხვედრას დაესწრო, მათ შორის:**

**თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონია**

თბილისის მერიის ორგანიზებით **თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონია** გაიმართა, ღონისძიებაზე სპორტსმენები სპორტის რამდენიმე სახეობაში, კერძოდ, კრივის, კარატეს, ძალოსნობის, თავისუფალი ჭიდაობის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, კანოეს, ძიუდოს, ფარიკაობის, პარაძიუდოს, მკლავჭიდის, პარამკლავჭიდის, უშუს, ათლეტიზმის, სამბოს, კიკბოქსინგის, პარაწოლჭიმის წარმომადგენლები დაჯილდოვდნენ.

**მწვრთნელთა გადამზადების პროგრამა**

თბილისის მერიის მხარდაჭერით დედაქალაქის სპორტულ ცენტრებში დასაქმებული მწვრთნელების და „მწვრთნელთა მხარდაჭერის“ პროგრამით მოსარგებლე მწვრთნელების პროფესიული გადამზადების პროგრამა განხორციელდა. გადამზადების პროგრამაში მონაწილეობა **200-მდე** მწვრთნელმა მიიღო. პროგრამა 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2024 წლის იანვარში დასრულდა. პროგრამაში მონაწილე მწვრთნელებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცათ.

**საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატების დაჯილდოება**

გურამ ოქროპირიძემ კოლეგებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია **"საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატების"** მიერ ორგანიზებული საერთაშორისო პროგრამების ახალგაზრდა მონაწილეები საერთაშორისო ხარისხის სერთიფიკატებით დააჯილდოვა.

**ახალგაზრდული პოლიტიკის ხედვის პრეზენტაცია**

კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად **„ახალგაზრდული პოლიტიკის ხედვის"** პრეზენტაციას დაესწრო, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა წარადგინა.

2024 წელს სამინისტრო ახალგაზრდებს შესთავაზა მასშტაბური ახალგაზრდულ ფესტივალი, რომელშიც საქართველოს ყველა უნივერსიტეტიდან **25 000-მდე** სტუდენტი ჩაერთო.

**სოციალური მეწარმეობის პროექტების პროგრამის პრეზენტაცია**

გურამ ოქროპირიძე "ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების ხელშეწყობის" პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო. პროგრამა „ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების ხელშეწყობა“ 2022 წელს თბილისის მერიის ინიციატივით ამოქმედდა. ის ითვალისწინებს ახალგაზრდების მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული სოციალური საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერას და ბიზნეს მოდელზე დაფუძნებული პროექტების განხორციელებას, რომელსაც ექნება ერთის მხრივ, სოციალური, მეორეს მხრივ, ეკონომიკური მიზანი, ასევე, მოემსახურება შემოსავლის მიღებას და ახალგაზრდების სოციალურ- ეკონომიკურ გაძლიერებას.

**თბილისს 2025 წლის ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი მიენიჭა**

2025 წელს თბილისს ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი ექნება. ევროპულმა ორგანიზაციამ **ACES Europe**, რომლის კომისია საქართველოში იმყოფებოდა, სტატუსის მოსაპოვებლად გამართული პრეზენტაციის შემდეგ, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. ღონისძიებას

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე, საკრებულოს წევრებთან და ერთად ესწრებოდა.

თბილისის მერიამ განაცხადი „ევროპის სპორტის ქალაქი 2025“-ის სტატუსის მოსაპოვებლად 2023 წელს გააკეთა. ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, **ACES Europe** სპეციალური კომისია თბილისს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში კომისიის წევრებმა დაათვალიერეს დედაქალაქში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა და მიიღეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სპორტის პოლიტიკის, ასევე, მიმდინარე პროგრამებისა და პროექტების შესახებ.

**საქართველოს პარალიმპიელთა ფიცის დადების ცერემონიალი**

საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის ინიციატივით, სასტუმროში „შერატონ გრანდ მეტეხი პალასი“ საქართველოს პარალიმპიელთა ფიცის დადების და სპორტსმენების პარალიმპიადაზე გაცილების ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც კოლეგებთან ერთად საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდობის კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე ესწრებოდა.

აღსანიშნავია, რომ **პარიზის 2024 წლის პარალიმპიადაზე** საქართველოს ნაკრები რეკორდული მაჩვენებლით იყო წარმოდგენილი, 14 პარასპორტსმენი, სპორტის 6 სახეობაში ასპარეზობდა - ეტლით ფარიკაობა, პარა ძიუდო, პარა მძლეოსნობა, პარა ტაეკვანდო, პარა წოლჭიმი და პარა სროლა.

**თბილისობა 2024**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გურამ ოქროპირიძემ 2024 წლის თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით დედაქალაქში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში მიიღო მონაწილეობა. მათ შორის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ღონისძიებაში, 2024 წლის ,,საპატიო თბილისელი''-ს წოდება 25 თბილისელს მიენიჭა.

**და სხვა.**

## მივლინება (ვიზიტი)

**2024 წლის 13-15 მარტს გურამ ოქროპირიძე მივლინებით იმყოფებოდა ფინეთში ქალაქ ჰელსინკში, საქართველოს პარლამენტის წევრებთან ერთად. სამუშაო ვიზიტი მოიცავდა უმაღლესი განათლებისა** და ახალგაზრდულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს, ფინეთის პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების გაცნობას და ახალგაზრდული პარლამენტის პროექტის გაცნობას, რომელიც პარლამენტის საქმიანობაში სკოლის მოსწავლეების ჩართულობას ითვალისწინებს.

მივლინების პერიოდში სამუშაო ფორმატში განხილული იქნა შემდეგი თემები: ახალგაზრდული პოლიტიკისა და კანონების ეფექტიანი განხორციელების შესახებ ინფორმაცია, თუ რა გავლენა ჰქონდა ამ სტრატეგიას ქვეყნის ახალგაზრდულ მოსახლეობაზე. სამუშაო ვიზიტის ძირითადი მიზნები წარმოადგენდა ახალგაზრდული პოლიტიკის ჩარჩოების დადგენას; ახალგაზრდობისთვის შექმნილი კანონების გავლენის შეფასებას; ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების წარმატებული მექანიზმების შესწავლას; სახელმწიფოს მიერ ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერის შესწავლას და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას. ამასთანავე ფინურმა მხარემ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება მიულოცა. აღინიშნა ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს მიერ გატარებული რეფორმები.

2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დოკუმენტი „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2020-2030 წლებისთვის “, რომელიც განსაზღვრავს ძირითად პრიორიტეტებს და მიზნებს, რაც მომდევნო წლებში შესაძლებელს გახდის შეიქმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების, როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრების, ჩართულობას, ღირსეულ დასაქმებას, ჯანდაცვასა და კეთილდღეობას, აგრეთვე ინფორმაციის, რესურსებისა და განვითარების შესაძლებლობების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

## განხილული კორესპონდენცია

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ განიხილა და მოამზადა **1573 მასალა/კორესპონდენცია** და პროექტი. მათ შორის არის კომისიაში შემოსული, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი **657 მასალა** და იურიდიული პირებისა და მოქალაქეებისგან **49 წერილი/განცხადება.**

ხოლო, კომისიის მიერ მომზადებული, გარე და შიდა უწყებებში გაგზავნილი წერილების რაოდენობა შეადგენს **329-ს.**

## დამატებითი ინფორმაცია

### კომისიის სამდივნო

კომისიის საქმიანობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის ფუნქცია/მოვალეობებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და განხილვა, ამ პროექტებზე შენიშვნების, წინადადებების და დასკვნების მომზადება, ღონისძიებებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკონსულტაციო და ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და სხვა.

### საზოგადოებასთან ურთიერთობა

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდება კომისიის https:www.facebook.com/SportsYouthComTbilisi გვერდზე და მის მართვას უზრუნველყოფს სამდივნო. ასევე, საკრებულოს პრეს-სამსახური

უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას. მათ შორის, აქტივობების საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებაზე განთავსებას.

**საანგარიშო პერიოდში საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა საკითხი გაშუქდა:**

- **2023 წლის 3 ნოემბერი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ თბილისის რაიონული გამგეობების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა;
- **2023 წლის 15 ნოემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ 2023 წლის წარმატებული პარასპორტსმენების დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა;
- **2023 წლის 16 ნოემბერი:** პრეს-სამსახური და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა;
- **2023 წლის 17 ნოემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ, კამპანიის ,,სტუდენტები თბილისის საკრებულოში“ - საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ახალგაზრდა წევრებს უმასპინძლა;
- **2023 წლის 27 ნოემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ ,,თაგ რაგბის სასკოლო ლიგის“ ფინალისტები და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები დააჯილდოვა;
- **2023 წლის 4 დეკემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ ,,საუკეთესო მოხალისეთა“ დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა;
- **2023 წლის 4 დეკემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - დედაქალაქის საკრებულოში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს უმასპინძლეს;
- **2023 წლის 14 დეკემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ იმსჯელეს;
- **2023 წლის 19 დეკემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში ოთხი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა;
- **2023 წლის 21 დეკემბერი:** - პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ, კამპანიის ,,სტუდენტები თბილისის საკრებულოში“ - საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ახალგაზრდა წევრებს უმასპინძლა;
- **2023 წლის 21 დეკემბერი:** პრეს-სამსახური, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა;
- **2024 წლის 19 იანვარი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ ,,ჭადრაკის სასკოლო ლიგის“ პრიზიორები და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები დააჯილდოვა;

- **2024 წლის 23 იანვარი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2024 წლის 29 იანვარი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ ,,მწვრთნელთა მხარდაჭერის" პროგრამის მონაწილეები დააჯილდოვა;
- **2024 წლის 15 თებერვალი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სამუშაო შეხვედრა სატრანსპორტო კომისიაში;
- **2024 წლის 20 თებერვალი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა;
- **2024 წლის 4 მარტი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ ,,ცურვის სასკოლო ლიგის" ფინალისტები და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები დააჯილდოვა;
- **2024 წლის 15 მარტი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საქართველოს დელეგაციის ვიზიტი ფინეთში;
- **2024 წლის 20 მარტი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ ESN Azerbaijan-ის წარმომადგენლებს უმასპინძლა;
- **2024 წლის 21 მარტი:** - პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ, კამპანიის ,,სტუდენტები თბილისის საკრებულოში" - საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ახალგაზრდა წევრებს უმასპინძლა;
- **2024 წლის 22 მარტი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - დიღმის მულტიფუნქციურ ცენტრში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა;
- **2024 წლის 29 მარტი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა;
- **2024 წლის 23 აპრილი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა;
- **2024 წლის 24 მაისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გაერთიანებული სხდომა;
- **2024 წლის 7 ივნისი:** საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე: სპორტი და ეკონომიკა ურთიერთკავშირშია და აქვთ სიმბიოზური ურთიერთობა სოციალური და ცხოვრების მზარდი კომერციალიზაციის პირობებში;
- **2024 წლის 12 ივნისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - თბილისს ,,ევროპის სპორტის ქალაქი 2025" სტატუსი მიენიჭა;
- **2024 წლის 13 ივნისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ სკოლა-ლიცეუმ ,,პრომეთეს" მოსწავლეებს უმასპინძლა;
- **2024 წლის 14 ივნისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გაერთიანებული სხდომა;

- **2024 წლის 25 ივნისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ ,,მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა 2023-2024 სეზონის“ ფინალისტები დააჯილდოვა;
- **2024 წლის 1 ივლისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - ათეას ორგანიზებით, ანდრეას კიფერი და ანდრეს კნაპე სტუდენტებს შეხვდნენ;
- **2024 წლის 12 ივლისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გაერთიანებული სხდომა;
- **2024 წლის 31 ივლისი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - პარაოლიმპიელთა ფიცის დადების ცერემონია;
- **2024 წლის 9 აგვისტო:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა;
- **2024 წლის 12 აგვისტო:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი ,,ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ 2024 გაიმართა;
- **2024 წლის 16 აგვისტო:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა;
- **2024 წლის 22 აგვისტო:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძემ ,,მომავალ ლიდერთა აკადემიის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა;
- **2024 წლის 20 სექტემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - ლილოს სპორტულ ცენტრში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა;
- **2024 წლის 27 სექტემბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - საკრებულოს წევრებმა ,,საქართველოს სტუდენტური ასოციაციის“ პროექტის ,,მომავალ ლიდერთა აკადემიის“ ახალგაზრდა წევრებს უმასპინძლეს;
- **2024 წლის 2 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა;
- **2024 წლის 6 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია 2024;
- **2024 წლის 7 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - საკრებულოში სპორტული პროგრამა ,,სასკოლო ლიგის“ განვითარების სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია გაიმართა;
- **2024 წლის 10 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ორგანიზაცია ,,საქართველოს სტუდენტური პარლამენტი და მთავრობა“ ახალგაზრდა წევრებს უმასპინძლა;
- **2024 წლის 11 ოქტომბერი:** პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები - გურამ ოქროპირიძე მთაწმინდის რაიონში ახალი სპორტული ცენტრის გახსნას დაესწრო.

- **2024 წლის 17 ოქტომბერი: პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოციალური ქსელები** - გურამ ოქროპირიძე დიდ დიღომში მრავალფუნქციურის ცენტრის გახსნას დაესწრო.